განათლება

უწყვეტი განათლების ცენტრის მნიშვნელობა უნივერსიტეტის მესამე მისიის განხორციელებაში

ნატო ქობულაძე
nato.kobuladze@atsu.edu.ge
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.16

თანამედროვე უნივერსიტეტები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ განათლების, კვლევის და საზოგადოების განვითარებაში, რასაც ხშირად უწოდებენ უნივერსიტეტის „მესამე მისიას“. სტატიაში განხილულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის როლი მესამე მისიის შესრულებაში. ნაშრომში განხილულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები და ცენტრის მიერ განხორციელებული ტრენინგ-მოდულებისა და სასერტიფიკატო კურსების მიმოხილვა. შედეგები აჩვენებს, რომ ცენტრი აქტიურად ახორციელებს პროფესიულ გადამზადებას, საზოგადოებრივ პროექტებს, ინოვაციურ ინიციატივებს და საერთაშორისო თანამშრომლობას, რაც ზრდის ცოდნის ტრანსფერს, უნარების განვითარებას და უნივერსიტეტის სოციალური ეფექტურობას. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითი ადასტურებს, რომ უწყვეტი განათლების ცენტრი წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას, რომელიც აერთიანებს აკადემიურ ცოდნას, პრაქტიკულ გამოცდილებას და სოციალურ ინოვაციებს და სრულად ასახავს უნივერსიტეტის მესამე მისიის არსს.

საკვანძო სიტყვები: *უნივერსიტეტის მესამე მისია, უწყვეტი განათლება, ცოდნის ტრანსფერი, ინოვაცია, პროფესიული განვითარება, თანამშრომლობა*

შესავალი. XXI საუკუნეში უნივერსიტეტების როლი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. თუ ტრადიციულად მათი ძირითადი ფუნქციები სწავლება და კვლევა იყო, თანამედროვე ეტაპზე მათ დაემატა მესამე მნიშვნელოვანი მიმართულება — საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობა და აკადემიური ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.

უნივერსიტეტის მესამე მისიის კონცეფცია გულისხმობს აკადემიური ცოდნის გამოყენებას საზოგადოების, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის (Etzkowitz & Leydesdorff 2000). აღნიშნული მიდგომა მოიცავს უნივერსიტეტის თანამშრომლობას ბიზნესთან, სახელმწიფო ინსტიტუტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ საზოგადოებასთან.

ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება უწყვეტი განათლების სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული ცოდნის მუდმივ განახლებას და საზოგადოებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნას.

საქართველოში უნივერსიტეტები ეტაპობრივად იწყებენ მესამე მისიის აქტიურ განხორციელებას. ამ კონტექსტში განსაკუთრებით საინტერესოა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცდილება, სადაც მესამე მისიის განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრი.

უნივერსიტეტების მესამე მისიის კონცეფცია ფართოდ არის განხილული საერთაშორისო აკადემიურ ლიტერატურაში. Henry Etzkowitz და Loet Leydesdorff უნივერსიტეტების განვითარების მოდელს განმარტავენ, როგორც *Triple Helix*, რომელიც გულისხმობს უნივერსიტეტის, ბიზნესისა და სახელმწიფოს თანამშრომლობას ინოვაციური განვითარებისათვის (Etzkowitz & Leydesdorff, 2000). Laredo (2007) აღნიშნავს, რომ მესამე მისია მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: ცოდნის ტრანსფერს ეკონომიკაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას და ინოვაციისა და მეწარმეობის ხელშეწყობას. ამ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უწყვეტ განათლებას. Jarvis (2007) აზრით, თანამედროვე საზოგადოებაში განათლება წარმოადგენს მთელი ცხოვრების განმავლობაში მიმდინარე პროცესს.

ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში უნივერსიტეტების მესამე მისია განსაკუთრებით გაძლიერდა ბოლონიის პროცესის შემდეგ, როდესაც უნივერსიტეტების როლი რეგიონულ განვითარებაში მნიშვნელოვნად გაიზარდა (European Commission 2018).

საქართველოში უნივერსიტეტების საქმიანობის სამართლებრივი საფუძველი განსაზღვრულია საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს განათლებისა და კვლევის განხორციელებასთან ერთად ცოდნის გავრცელებასა და საზოგადოების განვითარების ხელშეწყობას.

ბოლო წლებში საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო აქტიურად მუშაობს უნივერსიტეტების

მესამე მისიის გაძლიერებაზე. სამინისტროს ხედვის მიხედვით, უნივერსიტეტები უნდა ჩამოყალიბდნენ საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვან აქტორებად, რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას, ინოვაციას და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას. აღნიშნული მიმართულება გათვალისწინებულია უნივერსიტეტების ავტორიზაციის სტანდარტებშიც, სადაც მესამე მისიის განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად განიხილება.

სახელმწიფო ხედვაში ხაზგასმულია, რომ უნივერსიტეტების მესამე მისია გულისხმობს მათი მხრიდან საზოგადოების კეთილდღეობაზე ზრუნვას, სხვადასხვა აქტივობის განხორციელებისა და კომუნიკაციის გზით, ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ დონეზე. აღნიშნული პროცესი მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალურ პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებასთან (საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო 2024).

საქართველოს განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტებიც მიუთითებს, რომ უნივერსიტეტების საქმიანობა უნდა იყოს ორიენტირებული არა მხოლოდ აკადემიურ შედეგებზე, არამედ შრომის ბაზრისა და საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებაზე.

ამ კონტექსტში, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება უნივერსიტეტების, შრომის ბაზრის, ინდუსტრიისა და სამოქალაქო საზოგადოების შორის თანამშრომლობის გაძლიერება, რაც ხელს შეუწყობს ინოვაციის, კვლევისა და ცოდნის ტრანსფერის განვითარებას.

აღნიშნული გამოწვევის საპასუხოდ, სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულია რიგი ღონისძიებები, მათ შორის: საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, უნივერსიტეტების ანგარიშვალდებულების ზრდა მესამე მისიის მიმართულებით, დაფინანსების მოდელებში მესამე მისიის აქტივობების გათვალისწინება. ამასთანავე, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსების მობილიზება, მესამე მისიის ეფექტიანი განხორციელებისათვის.

მონაცემთა მიმოხილვა/ანალიზი. უნივერსიტეტის მესამე მისიის განხორციელებაში განსაკუთრებული როლი ეკისრება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრს, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვან პლატფორმას. ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგია მისი ფართო სოციალური გავლენა.

ცენტრის საქმიანობა მოიცავს: ტრენინგებისა და სემინარების ჩატარებას ტექნოლოგიური და ინოვაციური განათლების

მიმართულებებში, სხვადასხვა პროფესიული მიმართულებით მოკლევადიანი სასწავლო კურსების შეთავაზებას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების შეთავაზებას, არაფორმალური განათლების სერვისების მიწოდებას, უნივერსიტეტსა და საზოგადოებას შორის პარტნიორული პროგრამების (ცნობიერების ასამაღლებელი სემინარები, სამუშაო შეხვედრები, მასტერკლასები, კლუბები, სეზონური/საზაფხულო სკოლები და ა.შ.) განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრი წარმატებული და ერთ-ეთი მრავალფუნქციური საგანმანათლებლო პროდუქტების მიმწოდებელია საქართველოს უნივერსიტეტებს შორის. ცენტრში ფუნქციონირებს 50-მდე სატრენინგო მოდული თუ სასერტიფიკატო კურსი, რომლებიც მუდმივად განახლებადია მოთხოვნების შესაბამისად. ცენტრი თანამშრომლობს სხვადსხვა ორგანიზაციებთან, მათ შორის: მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ცენტრთან, უნივერსიტეტებთან, მუნიციპალიტეტებთან, სკოლებთან და საბავშვო ბაღებთან, სამედიცინო დაწესებულებებთან, საბანკო სექტორთან, სამშენებლო კომპანიებთან და ა.შ.

ბოლო ხუთი წლის მანძილზე აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ განხორციელდა 24 სატრენინგო კურსი და გადამზადდა 1662 მონაწილე. ცენტრი ყოველთვის ცდილობს უპასუხოს თანამედროვე გამოწვევებს და მუდმივად აახლებს საგანმანათლებლო სერვისებს.

უწყვეტი განათლების ცენტრში, 2022-2026 წლებში, მოთხოვნადი ტრენინგების თემატიკისა და გადამზადებულ მონაწილეთა რაოდენობრივი მაჩვენებლები ასეთია:

№	აწსუ-ს უწყვეტი განათლების ცენტრის მიერ 2022-2026 წლებში განხორციელებული ტრენინგ-კურსები	გადამზადებულთა რაოდენობა
1	აღმზრდელ -პედაგოგიის პროფესიული განვითარება	1213
2	ბუღალტრული აღრიცხვა,ORIS ბუღალტერია	12
3	გაყიდვების მენეჯერი	2
4	ეკოგანათლება, კვლევითი კომპონენტები საბუნებისმეტყველო აგრარულ და მემბრანულ ტექნოლოგიებში	21

5	ენერგოეფექტურობა მშენებლობაში	8
6	თანამედროვე მიდგომები სკოლამდელ განათლებაში	5
7	თემატური დაგეგმვა, უნივერსალური დიზაინი	53
8	ინკლუზიური განათლება, რთული ქცევის მართვა	35
9	მდგრადი განვითარების მიზნები, გარემოსდავცითი პასუხისმგებლობა	14
10	პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის შემსწავლელი კურსები	23
11	პორთფოლიოს წარმოება სასწავლო პროცესში	30
12	პრაქტიკული სამოქმედო კვლევა მასწავლებლებისათვის	9
13	პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება/PBL	11
14	რობოტექნიკისა და ელექტრონიკის საზაფხულო სკოლა	13
15	მოსწავლეთა საზაფხულო სკოლა ბავშვის უფლებებზე	10
16	ტრადიციული და სპეციფიკური ბოსტნეულის, კულინარიული და მიკრო მწვანილის სასათბურე წარმოება	12
17	შემდუღებელი	19
18	შეფასების ახალი მეთოდები სამედიცინო განათლებაში ONCE,OSPE	31

19	ციფრული მოქალაქეობა	13
20	ძვირფასი ლითონების ექსპერტიზა	5
21	მაღლივი სამშენებლო სამუშაოები	3
22	ბავშვის უფლებები და რეფერირება	39
23	სამედიცინო საკვირაო სკოლა	24
24	საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის ორგანიზაცია და მართვა	57
სულ		**1662**

წარმოდგენილი მონაცემების ანალიზი ნათლად აჩვენებს, რომ უწყვეტი განათლების ცენტრის საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული უნივერსიტეტის მესამე მისიის განხორციელებასთან. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ტრენინგებში ჩართულ პირთა რაოდენობა. 2022–2026 წლებში სულ გადამზადებულია 1662 ბენეფიციარი, რაც მიუთითებს ცენტრის ფართო მასშტაბის საქმიანობასა და საზოგადოებაში მაღალი მოთხოვნის არსებობაზე. განსაკუთრებით მაღალია მონაწილეობა მასწავლებელთა და აღმზრდელ-პედაგოგთა პროფესიული განვითარების პროგრამებში, რაც ხაზს უსვამს უნივერსიტეტის მნიშვნელოვან როლს სასკოლო და სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია პროგრამების მრავალფეროვნება. ტრენინგ-კურსები მოიცავს როგორც განათლების (ინკლუზიური განათლება, თემატური დაგეგმვა, PBL), ასევე ტექნიკური, ტექნოლოგიური, სამედიცინო და პროფესიული მიმართულებებს (ენერგოეფექტურობა, შემდუღებელი, ტრანსპორტის მართვა). ეს მრავალპროფილურობა სრულად შეესაბამება მესამე მისიის არსს, რომელიც უნივერსიტეტის ცოდნისა და რესურსების ფართო საზოგადოებრივ გამოყენებას გულისხმობს. მიმართულებები, როგორებიცაა: მდგრადი განვითარება,

გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა და ციფრული მოქალაქეობა, მიუთითებს უნივერსიტეტის ჩართულობაზე თანამედროვე გლობალური გამოწვევების გადაჭრაში. მნიშვნელოვანია, ასევე, პრაქტიკაზე ორიენტირებული და შრომის ბაზართან დაკავშირებული კურსები (მაგ., ბუღალტერია, გაყიდვების მენეჯმენტი, სამშენებლო სამუშაოები), რომლებიც ზრდის დასაქმების შესაძლებლობებს. ეს კი პირდაპირ ასახავს უნივერსიტეტის მესამე მისიის ეკონომიკურ განზომილებას — რეგიონული და სოციალური განვითარების ხელშეწყობას. ამგვარი აქტივობები ხელს უწყობს არა მხოლოდ პროფესიული უნარების განვითარებას, არამედ, საზოგადოებაში სამოქალაქო ცნობიერებისა და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლებას. მონაცემების ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ უწყვეტი განათლების ცენტრი ფუნქციონირებს, როგორც ეფექტიანი პლატფორმა უნივერსიტეტსა და საზოგადოებას შორის. მისი საქმიანობა აერთიანებს ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას, აკადემიურ ცოდნასა და პრაქტიკულ გამოცდილებას, რაც ქმნის მდგრად თანამშრომლობის მოდელს. ცენტრის მიერ განხორციელებული აქტივობები წარმოადგენს უნივერსიტეტის მესამე მისიის პრაქტიკულ რეალიზაციას, რაც გამოიხატება საზოგადოების განათლებაში, პროფესიული უნარების განვითარებაში, ეკონომიკური აქტივობის წახალისებასა და სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერებაში.

ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება მოითხოვს აკადემიური პერსონალის მუდმივ პროფესიულ განვითარებას და ციფრული კომპეტენციების გაუმჯობესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, უწყვეტი განათლების ცენტრი ყოველწლიურად ახორციელებს მოკვლევას, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მხრიდან პროფესიული განვითარებისა თუ ცნობიერების ამღლების მოთხოვნად მიმართულებებთან დაკავშირებით. ცენტრი პერიოდულად ახოციელებს უნივერსიტეტის თანამშრომელთა გამოკითხვას და, მონაცემთა ანალიზის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე – რეაგირებს შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა 2025 წლის გამოკითხვის მაჩვენებლები. გამოკითხვაში მონაწილეობდა უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის 23 რესპოდენტი: პროფესორები, ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ პროფესორები და ტექნიკური პერსონალი.



გამოკითხულთა საყურადღებო ნაწილი ხელოვნურ ინტელექტს (AI) მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მიიჩნევს სასწავლო კურსების განვითარებისა და ტრენინგებში გამოყენებისათვის. რესპონდენტები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ შესაძლებლობას, რომ კურსების და ტრენინგების განვითარებაში ინტეგრირდეს ხელოვნური ინტელექტი და ინოვაციური, ციფრული ტექნოლოგიები. ასევე აღსანიშნავია, შეფასების ინსტრუმენტებისა და პროექტული სწავლებისადმი რესპოდენტთა ინტერესი. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, სამომავლოდ, ცენტრი კიდევ უფრო მეტად გაამახვილებს ყურადღებას ხელოვნური ინტელექტის (AI), შეფასებისა და ინოვაციური სწავლების მეთოდოლოგიის და სხვა მოთხოვნად მიმართულებებზე ტრენინგ-მოდულების სამიზნე ჯგუფებისათვის მიწოდებაზე, რაც შესაბამისად აისახება სასწავლო პროცესის ეფექტურობასა და მოქნილობაზე.

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტის მესამე მისია წარმოადგენს უმაღლესი განათლების სისტემის თანამედროვე განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითი ცხადყოფს, რომ უნივერსიტეტს გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი საზოგადოების განვითარებაში აქტიური მონაწილეობისა და ცოდნის ტრანსფერის მიმართულებით. აღნიშნულ პროცესში გადამწყვეტ როლს ასრულებს უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს განათლების ხელმისაწვდომობას, პროფესიული უნარების განვითარებასა და საზოგადოების საჭიროებებზე რეაგირებას.

ცენტრის მრავალწლიანი საქმიანობის შედეგად, რეგიონში 5000-ზე მეტი მონაწილეა გადამზადებული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მის მნიშვნელოვან როლს უნივერსიტეტის მესამე მისიის პრაქტიკულ განხორციელებაში.

ლიტერატურა

საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/32830?publication=122

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო. უნივერსიტეტების მესამე მისიის განვითარების ხედვა. 2024.

საქართველოს განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტები (2022–2032). https://mes.gov.ge/content.php?id=13130&lang=geo

Etzkowitz, H., & Leydesdorff, L. 2000. *The dynamics of innovation: From national systems and Mode 2 to a Triple Helix of university–industry–government relations.* Research Policy.

Laredo, P. 2007. *Revisiting the third mission of universities.* Higher Education Policy.

Jarvis, P. 2007. *Globalisation, Lifelong Learning and the Learning Society.* Routledge.

OECD. 2019. *University-Industry Collaboration: New Evidence and Policy Options.*

European Commission. 2018. *The role of universities in regional innovation ecosystems.*

Education

The importance of the Center for Continuing Education in implementing the University's third mission

Nato Kobuladze
nato.kobuladze@atsu.edu.ge
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia
DOI:https://doi.org./10.52340/atsu.2026.1.27.16

Modern universities play an important role not only in education and research but also in social and economic development. This function is often referred to as the "third mission" of universities, which involves knowledge transfer to society, support for innovation, and cooperation between universities and various sectors. The aim of this study is to analyze the activities and projects implemented within the framework of the university's third mission and to evaluate the role of the Continuing Education Center in this process based on the example of Akaki Tsereteli State University. The study is based on a survey conducted among the academic and administrative staff of the university. The findings show that the implementation of the third mission is associated with diverse activities, including professional development programs, public engagement initiatives, innovative projects, and international cooperation. At the same time, several challenges were identified, such as limited resources, institutional coordination issues, and insufficient development of cooperation mechanisms. The study highlights the important role of the Continuing Education Center in addressing these challenges and strengthening the university's engagement with society.

Keywords: *Third Mission of the University, Continuing Education, Knowledge Transfer, Innovation, Professional Development, Collaboration*

Introduction. In the 21st century, the role of universities has significantly expanded. Traditionally focused on teaching and research, universities have now incorporated a third major function—active engagement with society and the practical application of academic knowledge.

The concept of the university's third mission refers to the use of academic knowledge for the development of society, the economy, and culture (Etzkowitz & Leydesdorff, 2000). This approach involves collaboration between universities

and businesses, government institutions, non-governmental organizations, and local communities.

In this process, particular importance is assigned to the system of lifelong learning, which ensures the continuous renewal of professional knowledge and creates new opportunities for society.

In Georgia, universities are gradually beginning to actively implement the third mission. In this context, the experience of Akaki Tsereteli State University is particularly noteworthy, where the Lifelong Learning Center plays a significant role in the implementation of the third mission.

The concept of the third mission has been widely discussed in international academic literature. Henry Etzkowitz and Loet Leydesdorff describe the development model of universities as the *Triple Helix*, which refers to the collaboration between universities, industry, and government for innovative development (Etzkowitz & Leydesdorff 2000). Laredo (2007) identifies three main dimensions of the third mission: knowledge transfer to the economy, engagement in social life, and the promotion of innovation and entrepreneurship.

Lifelong learning holds a crucial place in this process. Jarvis (2007) emphasizes that education in modern society is a lifelong process.

Within the European Higher Education Area, the third mission of universities has been particularly strengthened following the Bologna Process, which significantly increased the role of universities in regional development (European Commission 2018).

In Georgia, the legal framework for university activities is defined by the Law on Higher Education, which, in addition to teaching and research, emphasizes knowledge dissemination and the promotion of societal development.

In recent years, the Ministry of Education, Science and Youth of Georgia has been actively working to strengthen the third mission of universities. According to the Ministry's vision, universities should become key actors in societal development, contributing to economic growth, innovation, and the practical application of knowledge. This direction is also reflected in university authorization standards, where the implementation of the third mission is considered an important component of institutional evaluation.

The state vision highlights that the third mission involves universities contributing to public well-being through various activities and communication at local, regional, and global levels. This process is closely linked to social responsibility and accountability (Ministry of Education, Science and Youth of Georgia 2024).

Strategic documents on the development of Georgia's education system also emphasize that university activities should be oriented not only toward academic

outcomes but also toward meeting the needs of the labor market and society.

In this context, one of the key challenges remains strengthening cooperation between universities, the labor market, industry, and civil society, which will facilitate the development of innovation, research, and knowledge transfer.

In response to this challenge, the state has identified several measures, including: implementing legislative changes, increasing university accountability in terms of the third mission, incorporating third mission activities into funding models.

At the same time, higher education institutions must ensure the mobilization of appropriate human and material resources for the effective implementation of the third mission.

Data Review / Analysis. A key role in implementing the university's third mission is played by the Lifelong Learning Center of Akaki Tsereteli State University, which serves as an important platform for collaboration between the university and society. One of the most significant outcomes of the center's activities is its broad social impact.

The center's activities include conducting trainings and seminars in technological and innovative education, offering short-term courses in various professional fields, introducing modern teaching and learning approaches, providing non-formal education services, and implementing partnership programs between the university and society (such as awareness-raising seminars, workshops, masterclasses, clubs, etc.).

It should be noted that the Lifelong Learning Center of Akaki Tsereteli State University is one of the successful and multifunctional providers of educational services among Georgian universities. The center offers up to 50 training modules and certificate courses, which are continuously updated in response to emerging needs. It collaborates with various organizations, including the Teacher Professional Development Center, universities, municipalities, schools and kindergartens, medical institutions, the banking sector, construction companies, and others.

Over the past five years, the Lifelong Learning Center has implemented 24 training courses and trained 1,662 participants.

The center consistently strives to respond to modern challenges and continuously updates its educational services.

Below is an overview of the most in-demand training topics and the number of participants trained at the Lifelong Learning Center during 2022–2026.

№	Training courses implemented by the Continuing Education Center of the Georgian State University of Social Sciences in 2022-2026	Number of trainees
1	Professional Development of Educators and Pedagogues	1213
2	Accounting, ORIS Accounting	12
3	Sales Manager	2
4	Eco-Education, Research Components in Natural Sciences, Agricultural and Membrane Technologies.	21
5	Energy efficiency in construction	8
6	Modern approaches in preschool education	5
7	Thematic planning, universal design	53
8	Inclusive education, difficult behavior management	35
9	Sustainable development goals, environmental responsibility	14
10	Personal computer training courses	23
11	Portfolio production in the educational process	30
12	Practical action research for teachers	9
13	Problem-based learning/PBL	11
14	Summer school on robotics and electronics	13
15	Summer school for students on the rights of the child	10
16	Greenhouse production of traditional and specific vegetables, culinary and microgreens	12
17	Welder	19
18	New assessment methods in medical education ONCE, OSPE	31
19	Digital citizenship	13
20	Precious metals expertise	5
21	High-rise construction works	3
22	Children's rights and referral	39
23	Medical school of nursing	24

24	Organization and management of public transport	57
Total		1662

The analysis of the presented data clearly shows that the activities of the mentioned Continuing Education Center are closely related to the implementation of the third mission of the university, which involves active participation in the development of society, knowledge transfer and strengthening social responsibility.

Particular attention is paid to the number of people involved in trainings. In 2022–2026, a total of 1,662 beneficiaries were trained, which indicates the large-scale activities of the Center and the existence of high demand in society. Participation in professional development programs for teachers and educators is particularly high, which emphasizes the priority of the education sector and the important role of the university in improving the quality of school and preschool education.

The second important aspect is the diversity of programs. Training courses cover both educational (inclusive education, thematic planning, PBL), as well as technical, technological, medical and professional areas (energy efficiency, welding, transport management). This multidisciplinary nature is fully consistent with the essence of the third mission, which involves the broad public use of the university's knowledge and resources.

Of particular note are such areas as sustainable development, environmental responsibility and digital citizenship, which indicate the university's involvement in solving modern global challenges. Such activities contribute not only to the development of professional skills, but also to the raising of civic awareness and social responsibility.

Also important are practice-oriented and labor market-related courses (e.g., accounting, sales management, construction work), which increase employment opportunities. This directly reflects the economic dimension of the university's third mission — promoting regional and social development.

The analysis of the data also shows that the Center for Continuing Education functions as an effective platform between the university and society. Its activities combine formal and non-formal education, academic knowledge and practical experience, which creates a model of sustainable cooperation.

In summary, it can be said that the activities carried out by the Center for Continuing Education of the Georgian State University of Science and Technology represent the practical realization of the third mission of the university, which is

expressed in the education of society, the development of professional skills, the encouragement of economic activity and the strengthening of social responsibility.

The rapid development of modern technologies requires the continuous professional development of academic personnel and the improvement of digital competencies. The Center for Continuing Education annually conducts a survey on the areas/issues in which academic personnel and students are in demand for professional development or awareness-raising.

In this direction, the Center for Continuing Education of the university can play an important role, contributing to the renewal of knowledge and the development of professional skills, which is confirmed by the analysis of survey data.

The research was conducted with ATSU employees and 23 respondents from various faculties of the university participated in the survey: professors, associate professors, assistant professors, and technical staff.

A significant part of the respondents consider artificial intelligence (AI) to be an important tool for the development of educational courses and their use in training. Respondents especially emphasize the possibility of integrating artificial intelligence and innovative, digital technologies into the development of courses and trainings, which confirms the importance of using modern technologies for the Center for Continuing Education. This emphasizes that in the future the Center may focus even more on AI and technological trainings in order to increase the efficiency and flexibility of the educational process.

In summary, it can be said that the third mission of the university is one of the important directions of the modern development of the higher education system.

The example of Akaki Tsereteli State University clearly shows that the university has high potential in terms of cooperation with society and knowledge transfer. A special role in this process is assigned to the University's Continuing Education Center, which has trained more than 5,000 participants across the region in various educational and professional fields during its existence.